



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #026/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თინათინ ჯაჯანიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საჩივრის ავტორის ნ.გ-ს განმარტებით, ის ცხოვრობს გარდაბნის რაიონის სოფელ წალასყურში, სადაც სახლ-კარისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის თავად და მისი შვილი. ნ. გ. სახლში ასევე ცხოვრობს მისი 84 წლის დედა - ე. წ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ე. წ.-მ უკვე მერვედ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა ახალ ადვოკატთან, ც. შ.-სთან ერთად. ნ.გ-ს განმარტებით, ადვოკატმა დაუკითხავად დაათვალიერა მისი სახლი და ნივთები, მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა პოლიციის გამოძახებით. საჩივრის ავტორის თქმით, ადვოკატი ცდილობს დაარწმუნოს კლიენტი თავის სიმართლეში და აძლევს იმედს, რის შედეგადაც ე. წ. არ წყვეტს ნ. გ. შანტაჟს, აყენებს საჩივრის ავტორს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სთხოვა ადვოკატს გასცნობოდა საქმის მასალებს და მოეპოვებინა დოკუმენტები საჩივრის ავტორის ოჯახისა და ე. წ. შესახებ. თუმცა ადვოკატს არ აინტერესებს აღნიშნული და იმეორებს იმას, რასაც მისი კლიენტი, 84 წლის მოხუცი ეუბნება.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ნ. გ. და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავებისა და გამოძიების ორგანოებში; მესამე პირების მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმებისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ადვოკატმა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ, იგი კლიენტის ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს და ასრულებდეს მის მითითებებს. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს ვალდებულება გააჩნდა დაეცვა თავისი კლიენტის, ე.წ. ინტერესები კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების მიხედვით. მაშინ, როდესაც ადვოკატი მივიდა თავის კლიენტთან მისი საცხოვრებელი ბინის დასათვალიერებლად, ადვოკატი მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორის

¹ <https://gba.ge/pdf/5c52a11149f79.pdf/5c52a11149f79.pdf>

მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტები არ დასტურდება. ხოლო ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი „ცდილობს ე. წ. თავის სიმართლეში დაარწმუნოს“, ვერ გახდება ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ იგი ვერ შეიჭრება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში იმდაგვარად, რომ შეფასება გაუკეთოს გაწეულ საადვოკატო მომსახურების ხარისხს, რამდენად კეთილსინდისიერად განახორციელა ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა, მით უფრო, რომ კლიენტს პრეტენზია ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით არ გააჩნია. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებებში არ არსებობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადვოკატის მიმართ არ აღიძვრას დისციპლინური დევნა.